საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/209 " 8 " დეკემბერი 202 5 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სააპელაციო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატად დარეგისტრირდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 ოქტომბრის №1/162 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირი ლავრენტი მაღლაკელიძე.

2. არ იქნეს კანდიდატად დარეგისტრირებული მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირი შოთა ბიჭია - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 27) დანართი 1-ით განსაზღვრული ძალაში მყოფი დოკუმენტების - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის გამო (შ. ბიჭიას მიერ წარმოდგენილია 2017 წლის 23 თებერვალს გაცემული სამედიცინო დასკვნა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი 22.04.2013-22.04.2023 წ. მოქმედების ვადით).

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების №6), განკარგულების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

ვასილ მშვენიერაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი